ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 38

"28" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა №26-ის მიმდებარედ 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს/ნ: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა №26-ის მიმდებარედ 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს/ნ: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №20.149.157 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა №26-ის მიმდებარედ 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს/ნ: 204390159) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 800 (ოთხი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე